პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

Personal Data Protection Service

PDPS 1 23 00007369

18/09/2023

ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“
დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდამჭერი პროგრამის დირექტორს,
ქ-ნ ნანუკა ყრუაშვილს

ქალბატონო ნანუკა,

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში წარმოდგენილი თქვენი 2023 წლის 14 აგვისტოს №01/78-23 მომართვის პასუხად, რომელიც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან, მათ შორის, სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებიდან საქართველოს პარლამენტისა და საკრებულოს წევრების მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამოთხოვის უფლებამოსილებას, გაცნობებთ შემდეგს:

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“, „გ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება (მათ შორის გამოთხოვა და გაცემა) დასაშვებია, თუ: მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად. კანონის მე-6 მუხლი კი ადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლებს, რომლის თანახმად, აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევებისა.

ხაზგასასმელია, რომ მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად, მონაცემთა დამუშავების საფუძვლის პარალელურად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია დაიცვას კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების პრინციპები, მათ შორის, აღნიშნული მუხლის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პრინციპები, რომლის მიხედვითაც: მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად,

ნ. ვაჩნაძის ქ. №7, 0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2421000
ელფოსტა: office@pdps.ge

7, N. Vachnadze Str., 0105, Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2421000
E-mail: office@pdps.ge

მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად; მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი; მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შესაბამისად, საკონსულტაციო მომართვაში აღნიშნული მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლების არსებობის, ასევე მონაცემთა დამუშავების პროცესის მონაცემთა დამუშავების პრინციპებთან შესაბამისობის განსაზღვრისთვის არსებითია საკითხის მომწესრიგებელი სრული კანონმდებლობის შეფასება - მათ შორის, ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა მონაცემთა კონკრეტული გზებით დამუშავებას, რა მიზნებით, განსაზღვრავს თუ არა დასამუშავებული მონაცემების შინაარსს ან/და მოცულობას, რამდენად ემსახურება აღნიშნული მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს და სხვა. ამასთან, ვინაიდან საქართველოს პარლამენტის წევრისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სამართლებრივი სტატუსი, მათი ფუნქცია-მოვალეობები მოწესრიგებულია სხვადასხვა სამართლებრივი აქტით, მიზანშეწონილია ცალ-ცალკე იქნეს განხილული მათ მიერ პერსონალური მონაცემების გამოთხოვის და მიღების კანონიერების წინაპირობები.

საქართველოს პარლამენტის წევრის შემთხვევაში, მის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის უფლება და ფარგლები მოწესრიგებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ასევე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით:

- საქართველოს კონსტიტუციის:
    - 36-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტის მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით, რომელსაც პარლამენტის წევრის, კომიტეტის ან საპარლამენტო ფრაქციის ინიციატივის საფუძველზე სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს პარლამენტი. რეგლამენტს აქვს კანონის ძალა და მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე;
    - 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია;
    - 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა.
    - „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო აქტის ერთ-ერთ სახეს, ამასთან, იერარქიულად საქართველოს კანონს და რეგლამენტს გააჩნია თანაბარი ძალა;

- რეგლამენტის:

  - მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია ისარგებლოს ყველა ინფორმაციით, რომლებიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პარლამენტის წევრი ვალდებულია პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს და არ გაამჟღავნოს სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მიღებული ან შექმნილი ინფორმაცია;
  - XIII თავი არეგულირებს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებს, აღნიშნულ თავში შემავალი 148-ე მუხლის (სათაურით - პარლამენტის წევრის კითხვა) თანახმად კი, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებას. კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემა სავალდებულოა. კითხვა უნდა იყოს წერილობითი. კითხვის შინაარსი უნდა შეეხებოდეს ადრესატის უფლებამოსილებისათვის მიკუთვნებულ საკითხს. თითოეული ორგანო, თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს სრული წერილობითი პასუხი. თანამდებობის პირს უფლება აქვს, კითხვაზე პასუხში არ მიუთითოს ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეიცავს;
  - 226-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, რეგლამენტის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა რეგლამენტით დადგენილი წესით ეკისრება პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირს, რომელსაც ევალება პარლამენტის საქმიანობაში მონაწილეობა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, თუ იგი არღვევს პარლამენტის წევრის კითხვაზე/შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის დაწესებულ პროცედურას. ხოლო მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი განიხილავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ შემთხვევას და საკითხს სათანადო რეაგირებისათვის გადასცემს პარლამენტის ბიუროს. ამასთან, პარლამენტი თანამდებობის პირის (გარდა საქართველოს მთავრობის წევრისა) მიმართ იყენებს რეაგირების შემდეგ ფორმებს: ა) იღებს დადგენილებას ან რეზოლუციას დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ რეაგირების ზომების მისაღებად; ბ) სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს მიმართავს რეკომენდაციით მისდამი დაქვემდებარებული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ.

ზემოხსენებული ცხადყოფს, რომ საქართველოს პარლამენტის ერთ--ერთ მთავარ კონსტიტუციურ ფუნქციას მთავრობის/აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლი წარმოადგენს. თავის მხრივ, პარლამენტის წევრის კითხვა, აღნიშნულ კითხვაზე პასუხის და ამდენად ინფორმაციის მოპოვების კონსტიტუციური გარანტია კი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია. კითხვის ადრესატი შეიძლება იყოს ნებისმიერი საჯარო დაწესებულება. თავის მხრივ, ისინი ვალდებულნი არიან სრულად უპასუხონ მათ

კომპეტენციას მიკუთვნებულ პარლამენტის წევრის კითხვებს. შესაბამისად, პოტენციურად, პარლამენტის წევრის კითხვებზე პასუხები შესაძლოა შეიცავდეს ნებისმიერ მონაცემს (მათ შორის, საშტატო ნუსხა (დასაქმებულ პირთა სახელების, გვარების, პირადი ნომრებისა და სახელფასო ანაზღაურების მითითებით), სოციალური გასაცემლების მიმღები პირების, ასევე კონკრეტული პროგრამების ბენეფიციარების თაობაზე პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, მიღებული თანხის ოდენობა), რომელიც კითხვის ადრესატი დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებში მუშავდება. დამატებით გასათვალისწინებელია, რომ სადეპუტატო კითხვის მექანიზმი, როგორც პარლამენტის წევრისთვის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, მას პოლიტიკურ პროცესებში საფუძვლიანი მონაწილეობის მიღების წინაპირობას შეიძლება უქმნიდეს. ამასთან, აღნიშნული საკონტროლო მექანიზმი მრავალი განსხვავებული მიზნისთვისაც შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორებიცაა: ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მოთხოვნა; პოლიტიკურ პროცესებში საკუთარი პიროვნების წარმოჩენა; ზრუნვის გამოხატვა ამომრჩევლის ინტერესებისადმი და სხვა[1].

ამდენად, პარლამენტის წევრის მიერ კითხვის საპასუხოდ ინფორმაციის მიღების და ამ პროცესში მონაცემების დამუშავების კანონიერების წინაპირობები (მათ შორის ის გარემოება, რომ დეპუტატმა ინფორმაცია უნდა მიიღოს სრულად და დროულად) პირდაპირ არის განსაზღვრული საქართველოს საკანონმდებლო აქტებით (საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით), გამონაკლისს კი წარმოადგენს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნება.

რაც შეეხება ანგარიშვალდებული დაწესებულებიდან საკრებულოს წევრის მიერ ინფორმაციის გამოთხოვას:

- საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით. წარმომადგენლობითი ორგანო აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. აღმასრულებელი ორგანოები აღასრულებენ წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებებს და ანგარიშვალდებული არიან მათ წინაშე. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით;
- საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“;
    - 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“, „გ.ბ“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირება და კონტროლი, მათ შორის, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება; მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება; ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება;

- მე-40 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს;
- 45-ე მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზოგად უფლებებსა და ვალდებულებებს. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მუნიციპალიტეტის მერს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან, ერთი კვირის ვადაში უპასუხონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შეკითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით. ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით რეგლამენტირებულია მუნიციპალიტეტის წევრის ვალდებულება საქმიანობისას დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, მათ შორის, არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცულია გასაჯაროებისგან.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაშიც, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს წევრის მიერ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის და ამდენად, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების ერთ-ერთი მექანიზმია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის და საკრებულოს წევრის მიერ, მაგალითად საპარლამენტო კონტროლის/მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების კონტროლის მექანიზმის გამოყენების ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტით და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული დაწესებულებებიდან პერსონალური მონაცემების (მათ შორის საშტატო ნუსხის და სხვა) გამოთხოვა და მიღება გამომდინარეობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლებიდან. ამასთან:

- მონაცემების გადაცემამდე პარლამენტის/საკრებულოს წევრის იმ კითხვიდან, რომელიც პერსონალური მონაცემების გამოთხოვას შეეხება, ადრესატი დაწესებულებისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ კითხვის ავტორი თავისი ზემოაღნიშნული უფლებამოსილებით სარგებლობს[2];
- მონაცემების გადაცემამდე კითხვის ადრესატმა დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ საკუთარი კომპეტენციის ფარგლები - ზემოთ განხილული კანონმდებლობის ნაწილი[3] სადეპუტატო კითხვის დასმის შესაძლებლობას ითვალისწინებს ადრესატი დაწესებულების უფლებამოსილების ფარგლებს მიკუთვნებულ საკითხებზე, ამასთან, ისინი, როგორც მონაცემთა დამმუშავებლები, პასუხისმგებელნი არიან მათთან დაცული/მათთვის ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების ფარგლებში;
- ადრესატი დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან კითხვის პასუხად წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს გადასცენ კანონიერი მიზნის ადეკვატური და

პროპორციული პერსონალური მონაცემები. მაგალითად, თუ გადასაცემი დოკუმენტური მასალა შეიცავს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომელიც პარლამენტის წევრს არ გამოუთხოვია, უზრუნველყონ მათი (მონაცემების) დაშტრიხვა/დაფარვა;

- მნიშვნელოვანია გათვალისიწინებული იქნეს მონაცემთა ნამდვილობისა და სიზუსტის პრინციპები, რაც კითხვის ადრესატ დაწესებულებებს ავალდებულებს მოძველებული მონაცემების განახლებით, არაკანონიერად დამუშავებული მონაცემების წაშლით, გასწორებით და სხვა, უზრუნველყონ, რომ მათ მიერ წარმომადგენლობითი ორგანოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია არ იწვევდეს მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებისთვის ზიანის მიყენებასა და ადრესატის შეცდომაში შეყვანას.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს რაც შეეხება (მაგალითად ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პროგრამების ბენეფიციარების შესახებ ინფორმაცია, შესაძლოა, ამავდროულად მათ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს წარმოადგენდეს), აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მე-6 მუხლი არ ითვალისწინებს ამგვარი მონაცემების პარლამენტის/საკრებულოს წევრის კითხვის საპასუხოდ გადაცემის საფუძველს, თუმცა კითხვის ავტორებისთვის ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა გარანტირებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით აღმატებული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტებით.[4] ამასთან, 2023 წლის 14 ივნისს მიღებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის[5] თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები, ამასთან, აღნიშნული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ როგორც პარლამენტის, ასევე, საკრებულოს წევრი, მისი უფლებამოსილების ფარგლებში პერსონალური მონაცემების გამოთხოვით და მიღებით თავადაც მონაცემთა დამმუშავებელი ხდება და მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვის ვალდებულება ეკისრება. ისინი ვალდებულნი არიან არაკანონიერი მიზნებისთვის/პირადი ინტერესებისთვის არ გამოიყენონ კითხვის გზით მონაცემების მოპოვების შესაძლებლობა.

დამატებით გაცნობებთ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ზედამხედველობს მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულებას, მონაცემთა დამმუშავებელი დაწესებულებები/უფლებამოსილი პირები კი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად იღებენ გადაწყვეტილებას პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დამუშავების/გაცემის თაობაზე.

[1] MattiWiberg, Parliamentary Questioning: Control by Communication? in Parliaments and Majority Rule in Western Europe edited by Herbert Döring, p. 181, [ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2PssfLD].
[2] მაგალითად, პარლამენტის წევრის კითხვაში მითითებული უნდა იყოს, რომ ინფორმაცია გამოთხოვილია პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
[3] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[4] იგულისხმება საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი".
[5] კანონის აღნიშნული ჩანაწერი ამოქმედდება 2024 წლის 01 მარტიდან.

პატივისცემით,

ქეთევან კრაწაშვილი

დეპარტამენტის უფროსი
საჯარო სექტორზე ზედამხედველობის
დეპარტამენტი